საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, კაიროს ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.19.34.002.126), მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შ.პ.ს. „ლაგი კაპიტალი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, კაიროს ქუჩის მიმდებარედ (ს/კ01.19.34.002.126), მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, კაიროს ქუჩის მიმდებარედ (ს/კ01.19.34.002.126), მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალისაქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2016 წლის თებერვალში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეოლოგი მ. ყიფშიძე. მათ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 12გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. მიწერილობა ----------1გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე კომპრესიის და ჭრი გრაფიკები---- 15გვ.
5. გრუნტის სიმკვრივისა და სიმტკიცის მაჩვენებლების სტატისტიკური ანგარიში----------15გვ.
6. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნებით------- 2გვ.
7. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
8. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 2ფურც
9. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 1ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 15 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, ორი სართული მიწისქვეშა ავტოსადგომით. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 7 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 150 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა – 2 – თიხნარი ნახევრადმყარი
3. ფენა – 3 – თიხნარი რბილპლასტიკური
4. ფენა – 4 – კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
5. ფენა – 5 – არგილითები და ქვიშაქვები გამოფიტული
6. ფენა – 6 – არგილითები და ქვიშაქვები ნაკლებად გამოფიტული

ანგარიშში მოცემულია ზემოთ ჩამოთვლილი ფენების (გარდა ნაყარისა) დახასიათება და მათი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები. რაც შეეხება კლდოვანი ქანების თვისებებს, გამოყენებული აქვთ მათ მიერ მიმდებარე ტერიტორიაზე ადრე ჩატარებული სამუშაოების შედეგები (მასალები ინახება მათ არქივში) და მის საფუძველზეა მოცემული კლდოვანი ქანების ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა ზედაპირიდან 2.5-7.5 მ. სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, კაიროს ქუჩის მიმდებარედ (ს/კ01.19.34.002.126) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/